Research

დასაქმების ბარომეტრი

თებერვალი 2022

www.pmcresearch.org

ადამიანების საშუალო რაოდენობა, რომლებიც იღებენ ხელფასს



წყარო: შემოსავლების სამსახური*

* შემოსავლების სამსახურის მონაცემები არ არის საბოლოო და შეიძლება მცირედით გაიზარდოს. (ბოლოს ნანახია 21.03.2022).
** 0-600 ლარისა და 601-1200 ლარის მიმღებ პირთა წილის კლება 2021 წლის მესამე კვარტალში სავარაუდოდ გამოწვეული იყო დეკემბერში მე-13 ხელფასის მიმღებ პირთა მნიშვნელოვანი რაოდენობით.

- 2022 წლის თებერვალში, ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ თვიურ ხელფასს, 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 7%-ით, ხოლო 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 3%-ით არის გაზრდილი.
- 2022 თებერვალში, იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ 0-დან 600 ლარამდე თვიურ ხელფასს, 25.5%-ს შეადგენდა, რაც 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 3 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 7 პროცენტული პუნქტით შემცირებული მაჩვენებელია.
- 2022 წლის თებერვალში, იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ 2,400 ლარზე მეტ თვიურ ხელფასს, 15.7%-ს შეადგენდა, რაც 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2.8 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 4 პროცენტული პუნქტით გაზრდილი მაჩვენებელია.
- 2021 წლის თებერვალში, იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ 9,600 ლარზე მეტ თვიურ ხელფასს, 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 37%-ით, ხოლო 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 50%-ით არის გაზრდილი.

დასაქმების ბარომეტრი - BAG ინდექსის გამოკვლევა











წყარო: PMC კვლევითი ცენტრი, BAG

- 2021 წლის IV კვარტალში, BAG დასაქმების ბარომეტრმა 20.5 ქულა შეადგინა, რაც III კვარტალთან შედარებით, 8.8 ქულით გაუმჯობესებული მაჩვენებელია. კვარტალში ბარომეტრის მაჩვენებელი დადებითი იყო ყველა სექტორისთვის.
- 2021 წლის IV კვარტალში დასაქმების ბარომეტრის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მშენებლობის სექტორში ფიქსირდებოდა (50 ქულა), ყველაზე დაბალი კი მომსახურების სექტორში - 11.1 ქულა.
- 2022 წლის I კვარტალში BAG დასაქმების ბარომეტრმა 24.9 ქულა შეადგინა, რაც 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით, 4.4 ქულით გაუმჯობესებული მაჩვენებელია. 2022 წლის პირველ კვარტალში ბარომეტრის მაჩვენებელი დადებითი იყო ყველა სექტორისთვის.
- 2022 წლის I კვარტალში დასაქმების ბარომეტრის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მშენებლობის სექტორში ფიქსირდება (37.5 ქულა), ყველაზე მცირე კი მომსახურების სექტორში - 15.6 ქულა[1].

[1] კომპანიებს შეუძლიათ, დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ არსებული მომდევნო სამი თვის გეგმები აღწერონ, როგორც „მზარდი“, „სტაბილური“ ან „კლებადი“. ამ გეგმების საბალანსო მნიშვნელობა გამოითვლება პასუხების „მზარდი”-სა და „კლებადი”-ს პროცენტულ წილებს შორის სხვაობით. BAG დასაქმების ბარომეტრი არის სექტორების საბალანსო მნიშვნელობების შეწონილი საშუალო. BAG დასაქმების ბარომეტრის მნიშვნელობა შესაძლოა იყოს -100-დან +100-მდე. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას, ხოლო +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას.

დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილება
BAG ინდექსის გამოკვლევა



წყარო: PMC კვლევითი ცენტრი, BAG

- 2021 წლის IV კვარტალში, გამოკითხული კომპანიების 32.7%-მა გაზარდა დასაქმებულთა რაოდენობა, 6.6%-მა შეამცირა, ხოლო 60.7%-მა არ შეცვალა.
- 2022 წლის I კვარტალში, გამოკითხული კომპანიების 18.7%-მა გაზარდა დასაქმებულთა რაოდენობა, 9.3%-მა შეამცირა, ხოლო 72%-მა არ შეცვალა.
- გამოკითხული კომპანიების 29% აპირებს გაზარდოს დასაქმებულთა რაოდენობა 2022 წლის II კვარტალში, 3.7% გეგმავს შემცირებას, ხოლო 67.3% არ აპირებს რაოდენობის ცვლილებას.
- 2022 წლის II კვარტალში დასაქმების მიმართულებით ყველაზე პოზიტიური მოლოდინი, მშენებლობის სექტორში ფიქსირდება, სადაც 2022 წლის II კვარტალში, კომპანიათა 38% გეგმავს დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას.

* მოლოდინი

Jobs.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა



წყარო: Jobs.ge

- 2021 წლის სექტემბრიდან 2022 წლის თებერვლის ჩათვლით, 32,861 ვაკანსია გამოქვეყნდა jobs.ge-ზე, რაც 2020-2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 106%-ით, ხოლო 2019-2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 28%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.
- 2021 წლის სექტემბრიდან 2022 წლის თებერვლის ჩათვლით, jobs.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების საშუალო თვიურმა ზრდის ტემპმა -2% შეადგინა.

Jobs.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა კატეგორიების მიხედვით





წყარო: Jobs.ge

2021 წლის სექტემბრიდან 2022 წლის თებერვლის ჩათვლით, 2,433 ვაკანსია გამოქვეყნდა ინფორმაციული ტექნოლოგიების კატეგორიაში, რაც 2020-2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 47%-ით, ხოლო 2019-2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 41%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.

2021 წლის სექტემბრიდან 2022 წლის თებერვლის ჩათვლით, 7,252 ვაკანსია გამოქვეყნდა ადმინისტრაცია/მენეჯმენტის კატეგორიაში, რაც 2020-2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 123%-ით, ხოლო 2019-2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 35%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.

2021 წლის სექტემბრიდან 2022 წლის თებერვლის ჩათვლით, 10,892 ვაკანსია გამოქვეყნდა ტექნიკურ/ლოჯისტიკურ კატეგორიაში, რაც 2020-2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 129%-ით, ხოლო 2019-2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 22%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.

შრომის ბაზრის ინდიკატორები

	2019 II კვ.	2019 III კვ.	2019 IV კვ.	2020 I კვ.	2020 II კვ.	2020 III კვ.	2020 IV კვ.	2021 I კვ.	2021 II კვ.	2021 III კვ.	2021 IV კვ.
სამუშაო ძალა (ათასი)	1589.9	1576.2	1531.8	1545.2	1515.0	1528.9	1505.7	1447.2	1559.1	1592	1536.1
დასაქმებულები (ათასი)	1315.7	1311.3	1276.9	1262.7	1237.6	1269.1	1197.9	1129.7	1214.6	1281.2	1244.2
უმუშევრები (ათასი)	274.3	264.9	254.9	282.6	277.4	259.8	307.8	317.5	344.6	310.8	291.9
სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე (%)	52.2	51.8	50.5	51.3	50.3	50.3	50	48.3	51.4	52.8	51.2
დასაქმების დონე (%)	43.2	43.1	42.1	41.9	41.1	41.8	39.8	37.7	40.1	42.5	41.5
უმუშევრობის დონე (%)	17.3	16.8	16.6	18.3	18.3	17	20.4	21.9	22.1	19.5	19.0
საშუალო ნომინალური ხელფასი (ლარი)	1179.8	1217.1	1319.6	1202.7	1150.1	1239.5	1314.7	1256.2	1328	1368.5	1463.8

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არ აღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზეც.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

სოფო ბასილიძე
მკვლევარი
s.basilidze@pmcginternational.com

ნიკოლოზ ბაქრაძე
უმცროსი მკვლევარი
n.bakradze@pmcginternational.com

ნიკა კაპანაძე
უმცროსი მკვლევარი
n.kapanadze@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org